სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/17

(ოქმი N24)

ქ. ბათუმი

29 დეკემბერი 2021 წ

სხვადასხვა შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35º მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის 2021 წლის 21 დეკემბრის N02-19/3124 და 2021 წლის 23 დეკემბრის N02-19/3150 წერილების საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორს, 2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მიერ, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, განახორციელოს შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები:

1.1. საწვავის შეძენა - საერთო სახელშეკრულებო ღირებულება 130 000 ლარი; (გულისხმობს მაუწყებლის ბალანსზე რიცხული და მომსახურე ავტომობილების, საწვავით უზრუნველყოფას, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში CON210000489 შპს ,,რომპეტროლი'', საწვავის ტიპი - ბენზინი ,,პრემიუმი'')

1.2. შენობების შეიარაღებული დაცვის მომსახურების შესყიდვა, საერთო ჯამური ღირებულებით - 199 200 (ასოთხმოცდაცხრამეტი ათას ორასი) ლარზე; (მომსახურება გულიხმობს, ობიექტების დაცვას 24 საათის განმავლობაში, მომსახურების პერიოდი 01.01.22 წ - 31.12.22 წ)

1.3. ციფრული მიწისზედა სატელევიზიო სიგნალის გავრცელების, რადიოსარელეო ხაზებით, რადიოპროგრამების გატარების (ტრანზიტის 100კბტ) და FM რადიოგადამცემების განთავსების მომსახურება - ჯამში 316224 (სამასთექვსმეტი ათას ორასოცდაოთხი) ლარი;

1.4. აზერკოსმოსის მომსახურების შესყიდვა, თვეში 8000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, წლიური მომსახურება ჯამში სულ 96000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში;

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან;

3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი